CRRC-საქართველო

პოლიტიკური პარადოქსის ჩარჩოები FACEBOOK-ზე

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისა
და „ქართული ოცნების“ პარტიის მიმართ
მხარდაჭერის თანაკვეთა

ბლოგი

2025

ბლოგი

პოლიტიკური პარადოქსის ჩარჩოები Facebook-ზე:

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისა და „ქართული ოცნების“ პარტიის მიმართ მხარდაჭერის თანაკვეთა

2025

ავტორი: ზაქარი ფაბოსი, მკვლევარი

CRRC-საქართველო

1 ლიზიკო ქავთარაძის ქ. თბილისი, 0179, საქართველო

https://www.crrc.ge

crrc.georgia@crrccenters.org

ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

მასში გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობა CRRC-საქართველოს კვლევის შედეგებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) პოზიციას.

პოლიტიკური პარადოქსის ჩარჩოები Facebook-ზე: საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისა და „ქართული ოცნების“ პარტიის მიმართ მხარდაჭერის თანაკვეთა

შესავალი

2022 წლის ივნისში ევროკომისიამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებაზე, რაც ქვეყნის დიდი ხნის მიზანს წარმოადგენდა; ეს მიზანი მის კონსტიტუციაშიც კი არის აღბეჭდილი.[1] ამ გადაწყვეტილებას ხალხი ზეიმით შეხვდა, ათიათასობით მოქალაქე გამოვიდა რუსთაველის გამზირზე, თბილისის მთავარ არტერიაზე, სადაც ქვეყნის პარლამენტი მდებარეობს, რაც ამ გადაწყვეტილების მიმართ მათ მტკიცე მხარდაჭერას ადასტურებდა.[2]

ეს პოზიტიური გამოხმაურება რადიკალურად განსხვავდება იმ რეაქციისგან, რაც პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის მიერ ორი წლის შემდეგ, 2024 წლის 28 ნოემბერს, გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა, როდესაც მან გამოაცხადა „ქართული ოცნების“ მთავრობის გადაწყვეტილება ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების 2028 წლამდე გაყინვის შესახებ. შოკირებული და აღშფოთებული ათიათასობით მოქალაქე კვლავ რუსთაველის გამზირზე შეიკრიბა პროტესტის გამოსახატად.[3] წელიწადზე მეტია, ეს პროტესტი გრძელდება მთავრობის მიერ განსხვავებული აზრის ჩახშობისა და მასობრივი დაპატიმრებების ფონზე.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (70%) მხარს უჭერს ევროინტეგრაციას.[4] საინტერესოა, რომ „ქართული ოცნების“ თვითიდენტიფიცირებული მხარდამჭერების თითქმის ორი მესამედიც (73%) ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა.[5] პროევროპული ქართველი ამომრჩევლის მხარდაჭერა იმ პარტიის მიმართ, რომელიც ანტიდასავლური დისკურსის პროპაგანდას ეწევა და ამავდროულად ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის საბოტაჟს ახდენს, რბილად რომ ვთქვათ, დამაბნეველია. ეს ბლოგი მიმოიხილავს Facebook-ზე გაზიარებული ანტიდასავლური კონტენტის გავრცელებას, რომელიც CRRC-საქართველოსა და SIDA-ს სოციალური მედია მონიტორინგის ფარგლებში 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე პერიოდში დაფიქსირდა. ანტიდასავლური შინაარსის პოსტების ანალიზით შესაძლებელია, გამოიკვეთოს ის კოგნიტური დისონანსი, რომელსაც ერთდროულად „ქართული ოცნებისა“ და ევროინტეგრაციის მხარდამჭერები ავლენენ.

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. „საქართველოს კონსტიტუცია.“

[2] Civil.ge. „ფოტოამბავი: მასშტაბური პროევროპული აქცია თბილისში.“

[3] Civil.ge. „ფოტოამბავი: „პროტესტი ევროკავშირში გაწევრიანების შეჩერებაზე „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილების წინააღმდეგ.“

[4] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. „კავკასიის ბარომეტრი 2024 საქართველო.“

[5] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. „კავკასიის ბარომეტრი 2024 საქართველო.“

მეთოდოლოგია

ეს ბლოგი იყენებს Facebook-ის მედია მონიტორინგის მონაცემებს, რაც მოიცავს 16 საჯარო გვერდისა და ჯგუფის პოსტებს, რომლებიც ანტიდასავლური შინაარსით გამოირჩევიან. შეგროვებული მონაცემები მოიცავდა პოსტებში ნახსენები აქტორების შესახებ ინფორმაციას და მათი წარმოჩენისა თუ ხსენების ტონის შეფასებას (პოზიტიური, ნეიტრალური თუ უარყოფითი ტონი).

შერჩეულ 16 საჯარო გვერდს/ჯგუფს შორის ორი ქვეყნის ეთნიკურად აზერბაიჯანულ თემს მიემართება, ორი – ეთნიკურად სომხურ თემს, ხოლო ორი კონკრეტულად აჭარის რეგიონის კონტენტზეა ფოკუსირებული. დანარჩენი გვერდები ქართულენოვანია კონკრეტული რეგიონული ფოკუსის გარეშე. მონაცემების შეგროვება დაიწყო 2024 წლის 29 ნოემბრის პოსტებიდან – პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის მიერ ევროინტეგრაციის პროცესის მინიმუმ 2028 წლამდე შეჩერების გამოცხადების მეორე დღიდან. შერჩეულ Facebook ჯგუფებსა და გვერდებზე სულ გაანალიზდა 2,261 პოსტი. მონიტორინგის ქვეშ მყოფი ჯგუფებისა და გვერდების ენების, კატეგორიების, სახელების, ბმულებისა და გამომწერთა რაოდენობის სრული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

№	ენა	კატეგორია	ჯგუფის/გვერდის სახელი	გამომწერთა რაოდენობა
1	ქართული	„ქართული ოცნების“ ღია მხარდაჭერა	ლიდერი 41	42,000
2	ქართული	„ქართული ოცნების“ ღია მხარდაჭერა	ანტი – მაიდანი[6]	6,600
2.1	ქართული	„ქართული ოცნების“ ირიბი/ანონიმური მხარდაჭერა	არ აგარევინებთ	20,000
3	ქართული	„ქართული ოცნების“ ღია მხარდაჭერა	ბიძინა ივანიშვილი და მომავალი თაობა №oficial	20,100
4	ქართული	„ქართული ოცნების“ ირიბი/ანონიმური მხარდაჭერა	სირცხვილის კორიდორი[7]	56,000

[6] გვერდი „ანტი-მაიდანი“ 2025 წლის თებერვლის ბოლოს გაუქმდა. შესაბამისად, დაკვირვების პროცესში იგი 2025 წლის 22 თებერვლიდან ჩაანაცვლა გვერდმა – „არ აგარევინებთ“.

[7] გვერდმა „სირცხვილის კორიდორი“ პოსტების გამოქვეყნება 2025 წლის თებერვალში შეწყვიტა, რის გამოც დაკვირვების პროცესში იგი 2025 წლის 22 თებერვლიდან ჩაანაცვლა გვერდმა „შიგ ევროპაში“.

№	ენა	კატეგორია	ჯგუფის/გვერდის სახელი	გამომწერთა რაოდენობა
4.1	ქართული	„ქართული ოცნების“ ირიბი/ანონიმური მხარდაჭერა	შიგ ევროპაში	7,500
5	ქართული	„ქართული ოცნების“ ირიბი/ანონიმური მხარდაჭერა	Gogaggg	602,000
6	ქართული	„ქართული ოცნების“ ირიბი/ანონიმური მხარდაჭერა	პოლიტიკოსები 1 ლარიდან	26,000
7	ქართული	მემარჯვენე ექსტრემისტული კონტენტი	წმინდა მამები და მათი გამონათქვამები	36,000
8	ქართული	მემარჯვენე ექსტრემისტული კონტენტი	პატრიოტული გვერდი	46,000
9	ქართული	მეინსტრიმული საინფორმაციო მედია	POSTV – ანალიტიკა	274,000
10	ქართული	დამოუკიდებელი საინფორმაციო მედია	News.mcvane.ge	152,000
11	სომხური	ადგილობრივი საინფორმაციო მედია	Անդրադարձ Լրատվական	12,000
12	სომხური და რუსული	საჯარო დიასპორის გვერდი	Джавахкская диаспора России	1,700
13	აზერბაიჯანული	საინფორმაციო მედიის გვერდი	24News.ge	16,800
14	აზერბაიჯანული	საინფორმაციო მედიის გვერდი	Aktual.ge	34,000
15	ქართული (აჭარა)	„ქართული ოცნების“ ღია მხარდაჭერა	ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი ჯგუფი აჭარაში	2,000
16	ქართული (აჭარა)	საინფორმაციო მედიის გვერდი	გაზეთი აჭარა	5,800

რა იპოსტება გვერდებსა და ჯგუფებში?

2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე პერიოდში მედია მონიტორინგმა პოსტები თემების მიხედვით დააჯგუფა. ყველაზე გავრცელებული თემები იყო შემდეგი: პროდასავლური/ანტირუსული პროტესტი, საქართველოს შიდა პოლიტიკა/პოლიტიკური პარტიები, დასავლელი აქტორების (ევროპა/აშშ) კრიტიკა/დისკრედიტაცია, რუსეთ–უკრაინის ომი, აშშ–ის ახალი მთავრობა, არჩევნები და მედია.



[8]

შერჩეულ Facebook ჯგუფებსა და გვერდებზე, პროდასავლური/ანტირუსული პროტესტი იყო ის თემა, რომელიც ყველაზე მეტ, 999 პოსტში იქნა განხილული ამ პერიოდის განმავლობაში. მას მოჰყვება პოსტები საქართველოს შიდა პოლიტიკის/პოლიტიკური პარტიების შესახებ 795 ჩანაწერით. საინტერესოა, რომ გვერდების ანტიდასავლური ასოცირების მიუხედავად, დასავლელი აქტორების (ევროპა/ევროკავშირი) კრიტიკა/დისკრედიტაცია სიხშირით მესამე ადგილზეა და 247 პოსტს შეადგენს. შედარებით ნაკლებად გაშუქებული თემები მოიცავდა ომს უკრაინაში (137 პოსტი), აშშ–ის ახალ ადმინისტრაციას (129 პოსტი), არჩევნებსა (114 პოსტი) და მედიას (95 პოსტი).

[8] ჯამში გაანალიზდა 2,261 პოსტი. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგიერთი პოსტი ერთზე მეტ იდენტიფიცირებულ თემას ეხებოდა, თემების მიხედვით დახარისხებული პოსტების საერთო რაოდენობამ 2,516 შეადგინა.

ყველაზე ხშირი 3 გზავნილი ანტიდასავლურ Facebook გვერდებსა და ჯგუფებში ყველაზე გავრცელებული თემების მიხედვით 2024 წლის 29 ნოემბერი – 2025 წლის 31 მაისი



პროდასავლური/ანტირუსული პროტესტის შესახებ პოსტები ყველაზე ხშირად მიზნად ისახავდა საპროტესტო აქციის მონაწილეებისა და ოპოზიციური პარტიების დელეგიტიმაციას ძალადობასა და კრიმინალში დადანაშაულების გზით (151 პოსტი), ან მათი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მორალის ეჭვქვეშ დაყენებით (105 პოსტი). შიდა პოლიტიკას რაც შეეხება, პოსტები ყველაზე ხშირად აკნინებდნენ ოპოზიციურ პარტიებს და მათ სასაცილოდ წარმოაჩენდნენ (69 პოსტი). ამას მოსდევდა კონტენტი, რომელიც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ (ენმ) და მათ მხარდამჭერებს კრიმინალებად მოიხსენიებდნენ (55 პოსტი). აღსანიშნავია, რომ ანტიდასავლურ გვერდებსა და ჯგუფებზე საქართველოს შიდა პოლიტიკის განხილვისას, მესამე ყველაზე გავრცელებული საკითხი „ქართული ოცნების“ მთავრობის კონსერვატიზმის ეჭვქვეშ დაყენებას (42 პოსტი) ეხებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მედია მონიტორინგმა პოსტები იმ გვერდებიდან და ჯგუფებიდან შეაგროვა, რომლებიც ანალიზის დაწყებამდე „ანტიდასავლურად“ იყო მიჩნეული, ასეთი პოსტები თემატურად უფრო მრავალფეროვანი იყო, ვიდრე მხოლოდ მიმდინარე პროტესტისა და შიდა პოლიტიკის საკითხების შესახებ პოსტები. დასავლეთის მიმართ კრიტიკული შინაარსის 247 პოსტიდან, 38 პოსტი ევროპასა და ევროკავშირს საქართველოს მთავრობის შანტაჟში ადანაშაულებდა. ამას მოჰყვებოდა პოსტები, რომელთა მტკიცებითაც ყოფილი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი დასავლეთის მიერ კონტროლდებოდა (17 პოსტი). ხოლო მესამე ყველაზე გავრცელებული თემა ამ კატეგორიაში დასავლეთს საქართველოს შიდა პოლიტიკაში ჩარევაში ადანაშაულებდა (16 პოსტი).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული Facebook გვერდები და ჯგუფები ანტიდასავლური შინაარსის პოპულარიზაციასთან იყვნენ დაკავშირებულნი, მონიტორინგის შედეგებიდან ჩანს, რომ უფრო ხშირად განხილვადი თემები შიდა პოლიტიკასა და აქტორებს შეეხება. მომიტინგეებმა და ოპოზიციის წევრებმა შეიძლება, „ქართული ოცნების“ მთავრობა და მისი პოლიტიკური დღის წესრიგი დაახასიათონ, როგორც პრორუსული ან ანტიდასავლური, თუმცა, მონიტორინგის მონაცემებიდან ჩანს, რომ რეჟიმის მხარდამჭერთა პოსტების შინაარსი ყოველთვის მსგავს ბინარულ მიდგომას არ ასახავს. ნაცვლად ამისა, ისინი მიზნად ისახავენ ოპოზიციის წევრებისა და მომიტინგეების დისკრედიტაციას ისეთი კონტენტით, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მათ ინტელექტს, მოტივაციას და ძალადობისადმი მიდრეკილებას, და ამავდროულად წარმოაჩენენ „ქართული ოცნების“ მთავრობას ქვეყნის ერთადერთ ლეგიტიმურ და შესაძლო პოლიტიკურ აქტორად. პროსახელისუფლებო პოსტების ავტორები მეტწილად თავს არიდებენ მთავრობის ანტიევროპული რიტორიკისა და პოლიტიკის განხილვას, რაც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისთვის ქმნის სივრცეს, დაიკავონ მმართველი პარტიის მხარე პოლარიზებულ შიდა საკითხებში და ამავდროულად მხარი დაუჭირონ საქართველოს ევროინტეგრაციას.

პოპულარული პოსტები

პროევროპული და ანტირუსული პროტესტის მიმართ კრიტიკული პოსტები ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო მონიტორინგის კატეგორიებს შორის. გარდა ამისა, ამ პოსტებს ყველაზე დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზოგადოებისგან (engagement). ამ ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე გამოხმაურება გულისხმობს „მოწონებას“ ან სხვა „რეაქციებს“, ასევე, კომენტარებსა და პოსტების გაზიარებას. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი გამოხმაურება ჰქონდა ვიდეოებს მაშინ, როდესაც ტექსტური პოსტები და სურათები მომხმარებელთა ინტერაქციის თვალსაზრისით ბევრად ჩამორჩებოდა მათ. მონიტორინგის პერიოდში ყველაზე დიდი ჩართულობის მქონე ვიდეოების შინაარსი სიძულვილის ენის, განსაკუთრებით ჰომოფობიის პროპაგანდას ახდენდა და მხარს უჭერდა ძალადობას ქვეყნის პოლიტიკურ ოპოზიციასთან ასოცირებული ფიგურების, მაგალითად, დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიმართ.



ზემოთ მოცემულმა ვიდეომ მონიტორინგის პერიოდში ყველაზე დიდი გამოხმაურება დაიმსახურა. გვერდ „Gogaggg"–ზე 2024 წლის 9 დეკემბერს გამოქვეყნებული ეს ვიდეო ასახავს საუბარს ვირტუალური შეხვედრების პლატფორმაზე, სადაც კადრსმიღმა ხმა გაბრაზებული და აგრესიული ტონით ყვირის და ამტკიცებს, რომ ჰომოსექსუალობა არ არის ბუნებრივი და რომ ის ადამიანის მიერ შექმნილი კონცეფცია და ვირუსია, რასაც თან ახლავს ჰომოფობიური შეურაცხყოფა. მონიტორინგმა პოსტი 2025 წლის 22 თებერვალს დააფიქსირა, როდესაც მას უკვე 17,482 მოწონება, რეაქცია, კომენტარი და გაზიარება ჰქონდა; თავის მხრივ ეს რიცხვები დღემდე იზრდება. ყველაზე მეტი მოწონების მქონე კომენტარი აღნიშნავს: „უამრავის სათქმელი თქვა". პოსტის გზავნილი ემთხვევა ანტიდასავლურ ნარატივებს, რომლებიც ჰომოფობიის პროპაგანდას ეწევა და „ლგბტ პროპაგანდას" გმობს.



მონიტორინგის პერიოდში ჩართულობის/გამოხმაურების მიხედვით მეორე ადგილზე მყოფი პოსტი 2025 წლის 21 მაისს გამოქვეყნდა გვერდზე „არ აგარევინებთ". ვიდეო–პოსტში ასახულია ცნობილი დამოუკიდებელი ჟურნალისტი ვიკა ბუკია, რომელიც გამვლელს ეკითხება, რას ფიქრობს ინფორმაციაზე, რომლის მიხედვითაც პოლიცია

ჟურნალისტებს ანტისამთავრობო პროტესტის გაშუქებისას თავს დაესხა. ქალი თავდასხმებს იწონებს და აღნიშნავს, რომ ჟურნალისტები საერთოდ არ არიან ძალადობის მსხვერპლნი. ვიდეო სრულდება პროსახელისუფლებო ფიგურის, დავით ხურცილავას („ჯაპანა“) ვიდეო ამონარიდით, სადაც ის ოპოზიციურ ჟურნალისტებს დასცინის. 2025 წლის 4 ივლისისთვის, როდესაც მონიტორინგმა პოსტი გაანალიზა, მას ჰქონდა 12,199 რეაქცია, რომელთაგან 942 იყო კომენტარი, ხოლო 1,080 – გაზიარება. წინა პოსტის მსგავსად, ვიდეოს არ აქვს აშკარა ანტიდასავლური გზავნილი, არამედ მიზნად ისახავს დამოუკიდებელი ჟურნალისტების დისკრედიტაციას და მათ წინააღმდეგ სახელმწიფო ძალადობის წახალისებას.



ყველაზე დიდი ჩართულობის/გამოხმაურების მქონე პოსტები მიზნად ისახავს ჰომოფობიური გზავნილების პროპაგანდას, მიზანში იღებს შიდა პოლიტიკურ ფიგურებსა და ჟურნალისტებს ან იყენებს ქართული საზოგადოებისთვის შიდა პოლიტიკურ დონეზე უკვე ნაცნობ, პოლარიზებულ თემებს. პოსტები, რომლებიც ცილს სწამებენ დასავლურ აქტორებს, როგორებიცაა ევროკავშირი და აშშ, მომხმარებელთა მხრიდან გაცილებით ნაკლებ ჩართულობას/გამოხმაურებას იწვევს. 2025 წლის 30 მაისს „POSTV–ანალიტიკამ“ გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ამტკიცებდა, რომ ევროპული და ამერიკული „Deep State“, ე.წ. „გლობალური ომის პარტია“, საქართველოს მთავრობის ძალადობრივ დამხობას გეგმავს კავკასიაში ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესებით სარგებლობის მიზნით. მონიტორინგში მოხვედრილ აშკარად ანტიდასავლურ პოსტებს შორის, სადაც ევროკავშირი და აშშ საქართველოს მტრებად არიან გამოყვანილი, ამ პოსტს ყველაზე დიდი გამოხმაურება ჰქონდა. მონიტორინგის ანალიზის მომენტისთვის, 2025 წლის 7 ივლისისთვის, ვიდეოს 906 ინტერაქცია ჰქონდა, რაც ძალიან ჩამორჩება მონიტორინგის ანალიზში ყველაზე პოპულარული პოსტის მიერ მიღებულ 17,748 მოწონებას, კომენტარსა და გაზიარებას.

მთლიანობაში, მონიტორინგის პერიოდში გაანალიზებულ Facebook გვერდებსა და ჯგუფებში ყველაზე დიდი გამოხმაურება ჰქონდა იმ ვიდეოებს, რომლებიც ჰომოფობიურ გზავნილებს შეიცავდა და ცილს სწამებდა პოლიტიკურ

ფიგურებსა და ჟურნალისტებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გზავნილები ანტიდასავლურ აქტორებში გავრცელებულ ნარატივებს ემთხვევა, ყველაზე პოპულარული კონტენტი აშკარად არ აკრიტიკებდა დასავლურ სახელმწიფოებს ან ინსტიტუტებს, ისეთს, როგორიცაა ევროკავშირი. ნაცვლად ამისა, მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებდნენ პოსტებს, რომლებიც სოციალურ შინაარსს შეიცავდა ან ეხებოდა ქვეყნის შიდა, პოლიტიკურად პოლარიზებულ თემებს, განსაკუთრებით ისეთ თემებს, რომლებიც ორიენტირებული იყო ოპოზიციური ფიგურებისა და ჟურნალისტების შეურაცხყოფაზე ან მათი ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენებაზე.

დასკვნა

„ქართული ოცნების“ მთავრობას, მიუხედავად ანტიდასავლური პოლიტიკური დღის წესრიგის გატარებისა, მხარს უჭერს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ამავდროულად სურს საქართველოს ევროინტეგრაცია. მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ქვეყნის პოლიტიკას არ უყურებენ პროევროპული და პრორუსული ბინარული პრიზმიდან.

მედია მონიტორინგის მიხედვით, მიმდინარე პროტესტის შესახებ პოსტები ყველაზე ხშირი იყო (999 პოსტი), რასაც მოჰყვებოდა შიდა პოლიტიკის თემატიკის პოსტები (795 პოსტი). ევროკავშირისა და აშშ–ის მიმართ აშკარად კრიტიკული პოსტები დიდი რაოდენობით არ გამოირჩეოდა (247 პოსტი). გარდა ამისა, ანტიდასავლური გვერდების ყველაზე პოპულარული პოსტები აშკარად არ აკრიტიკებდა ევროკავშირს ან აშშ–ს; ნაცვლად ამისა, ისინი შეიცავდა ჰომოფობიურ რიტორიკას და ოპოზიციური ფიგურებისა და ჟურნალისტების კრიტიკას. მონიტორინგი ადასტურებს, რომ Facebook–ზე კონტენტი მართულია ისე, რომ პირველ რიგში წარმოჩინდეს მთავრობის მოწინააღმდეგეების კრიტიკა და ამავდროულად ყურადღება არ იყოს გამახვილებული „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ კანონებზე, რომელიც საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს.

მთლიანობაში, მედია მონიტორინგი გვეხმარება იმის ახსნაში, თუ როგორ შეიძლება თანაარსებობდეს „ქართული ოცნებისა“ და ევროინტეგრაციის ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა. პროსახელისუფლებო და ანტიდასავლური Facebook გვერდები იშვიათად მოუწოდებენ აუდიტორიას დასავლეთზე პირდაპირ უარის თქმისკენ. ნაცვლად ამისა, ისინი ყურადღების კონცენტრირებას ახდენენ პროტესტზე, ოპოზიციურ ფიგურებზე, ჟურნალისტებსა და სოციალურად პოლარიზებულ საკითხებზე. ასევე, მეტწილად თავს არიდებენ მთავრობის მიერ ევროკავშირთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ხანგრძლივ განხილვას. ასეთი კონტენტით შექმნილი გარემო საშუალებას აძლევს მხარდამჭერებს, პოლიტიკა, პირველ რიგში, შიდა, მორალურ და პარტიულ ჭრილში აღიქვან. შედეგად, ევროინტეგრაცია ზოგად მხარდაჭერილ მიზნად რჩება, რომელიც განყენებულია მთავრობის იმ ქმედებებისგან, რომლებიც მას ძირს უთხრის. ეს კი „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს ეხმარება, პირდაპირი კონფრონტაციის გარეშე შეინართუნონ კოგნიტური დისონანსი.

ბიბლიოგრაფია

Civil.ge. „ფოტოამბავი: მასშტაბური პროევროპული აქცია თბილისში." *Civil.ge:* 21 ივნ., 2022. https://civil.ge/ka/archives/497229

Civil.ge. „ფოტოამბავი: პროტესტი ევროკავშირში გაწევრიანების შეჩერებაზე „ქართული ოცნების" გადაწყვეტილების წინააღმდეგ." *Civil.ge:* 29 ნოემბ, 2024. https://civil.ge/ka/archives/639475

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. „საქართველოს კონსტიტუცია." *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო:* მუხლი 78. აგვ. 1995. https://www.constcourt.ge/ka/court/legislation/constitution-text

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. „კავკასიის ბარომეტრი 2024 საქართველო." *CRRC–საქართველო:* 2024. https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/EUSUPP/

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. „კავკასიის ბარომეტრი 2024 საქართველო." *CRRC–საქართველო:* 2024. https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/EUSUPP-by-PARTYSUPP/